დანართი 2
დამტკიცებულია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის 2024 წლის --- იანვრის
N---------- ბრძანებით

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის ფარგლებში ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებაში ჩასართავად ბენეფიციარის წარმომადგენელი განცხადებით და თანმხლები დოკუმენტებით მიმართავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ბენეფიციარისა და ბენეფიციარის მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;
- ბენეფიციარის ან ბენეფიციარის მშობლის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი;
- მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ცნობა რეინტეგრირებული ოჯახის შესახებ;
- დოკუმენტი მოწყვლადი კატეგორიის (სოციალურად დაუცველი ოჯახების სარეიტინგო ქულა, უდედმამო ბავშვის სტატუსი, შშმ პირის სტატუსი, მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსი და სხვა);
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);
- მშობლის ან მისი წარმომადგენელის პირადობის მოწმობის ასლი;

ქვეპროგრამის ბენეფიციარის სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა ვაუჩერი.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ბენეფიციარმა ან მისმა წარმომადგენელმა დადგენილი წესით უნდა მიიღოს ვაუჩერი თვეში ერთჯერ.

ქვეპროგრამის ბენეფიციარს კურსი დაუფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით (18 ლარი - ერთი დღე).

ვაუჩერის გაცემა ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებიდან (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) და ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებიდან.